№ 42

წელიწადი მეორე

მთავრობის მოამბე

წელიწადი მეორე

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 50 კ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

შაბათი, 22 თებერვალი 1919 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი

(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

„საქართველოს რესპუბლიკა"

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის.

ხელის მოწერის ფასი: ერთი წლით—120 მ. ნახევარი წლით—60 მ., ერთი თვით 10 მ. ცალკე ნომერი ყველგან 50 კაპ. სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ბარონის ქ. № 6, ტელეფონი 1—82.

სახელმწიფო თეატრი

ოპერა.

ა. ი. ევლახიშვილის დირექცია.

შაბათს, თებერვლის 22-ს, ლ. ნ. ისეცკის ბენეფისი, ალეშკოს, კანშინის მონაწილეობით

ჟიდოვკა

კვირას, თებერვლის 23-ს, დილით ი. პ. მოლჩანოვის ბენეფისი „სნეგუროჩკა". საღამოს დემიანენკოს ბენეფისი. საბანეევას და ზალიპსკის მონაწილეობით „სევილიელი დალაქი". 286 1—1

სამხედრო მინისტრმა მიბრძანა მე, ოფიცერთა რაზმის ყოფილ უფროსს, კაპიტან უთნელოვს, სამშობლოს დაცვისათვის ახალციხის ფრონტზე გასაგზავნათ, ხელმეორეთ

შევადგინო ოფიცერთა რაზმი

შემდეგი პირობებით: თითოეულ ოფიცერს მიეცემა ერთდროული დახმარების სახით ათასი (1000) მან., უმცროსი ოფიცრის ჯამაგირი, ტანსაცმელი და ჯარისკაცის ულუფა. **იმ ოფიცრებს, რომლებიც სამშობლოს სიყვარულით და მოვალეობის შეგნებით არიან გამსჭვალულნი,** ვთხოვთ ჩაეწერონ დასახელებულ რაზმში სამხედრო სასწავლებლის კანცელარიაში (მიხეილის ქუჩა). იქვე მიიღებიან არაგასაწვევი ხნოვანობის ბრძოლისათვის გაწაფული მოხალისენიც, სახალხო გვარდიელთა უფლებებით.

ოფიცერთა რაზმის უფროსი, კაპიტანი **უთნელოვი.**

სასოფლო მეურნეობის წლინახევრიანი საღამოსო კურსები

დროებით გადადებულია მობილიზაციის გამო.

კურსების გახსნის დღე გამოცხადებული იქნება.

257 3—2

კურსების დირექტორის მაგიერ **ჟუკოვსკი.**

ამ მოკლე ხანში გამოვა გაზეთი

„მილიცია"

ვთხოვთ ყველა დაინტერესებულ პირთ, ვისაც ამ საპასუხისმგებლო ორგანოს სათანადოთ წარმართვა აინტერესებს, მოგვაწოდოს სხვა და სხვა ხასიათის მასალა საზოგადოთ მილიციის შესახებ. მისამართი: მე-8 კომისარიატი,. გაზეთ „მილიციის" სარედაქციო კოლეგიას.

257 1—1

ქართველო მებრძოლოთ!

ქართველთა ლეგიონი იწვევს მოხალისეებს

ახალციხეში მოღალატეების წინააღმდეგ საბრძოლველად!

მამულიშვილნო!

ერთხელ კიდევ დაუმტკიცოთ მტრებს ქართველი ხალხის გმირობა.

მოიყარეთ თავი ლეგიონის დროშის ქვეშ.

მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა, მეორე ვაჟთა გიმნაზიის შენობა.

ლეგიონის სარდალი **ლეო კერესელიძე.**

შაბათს, თებერვლის 22-ს

ყოფილ კადეტთა კორპუსის ზალებში

გაიმართება გრანდიოზული

კონცერტი-ბალი

მთავრობის კომერციულ სასწავლებლის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ

ოპერისა და დრამის საუკეთესო ძალების მონაწილეობით:

ვოლ-ლევიცკისა, სპიტკოსი, ზალიპსკისა, ვრონსკის, ინაევის, თამარ მაჩაბლის, ლევ ტიმოფეევის, ლინევიჩის, მარკოვის, ვასო აბაშიძის, ანდრონიკაშვილის, აწიროჯიბის, გრიშაშვილის, რომანაშვილის, ფალავანდიშვილის ალბერტის და სხვ.

ორკესტრის ორი ხორო და საზანდარი. ცეკვა. ბუფეტი სასმელებით.

დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

საღამოს დიასახლისი **ო. ს. ხვანიშვილი.**

პასუხის მგებელი გამგე **ე. კ. ტერ-დავიდიანცი.**

მოწაფეთა რწმუნებული ბალის მომწყობი **გ. კალაშკაროვი.**

251 1-1

ოფიციალური განყოფილება

კანონი

გადმოსახლებულების მიერ დატოვებულ სახაზინო მიწების სახელმწიფოს ფონდში გადასვლისა.

1. სახაზინო მიწები, რომელზედაც რევოლიუციის წინ ცხოვრობდნენ გადმოსახლებულები, მაგრამ უკანასკნელებმა რევოლიუციის შემდეგ დასტოვეს და 1919 წ. თებერვლის პირველამდე არ დაბრუნებულან, ჩაითვალოს სახელმწიფო საადგილმამულო ფონდში გადასულად და საერთო წესით გადაეცეს უმიწაწყლო გლეხობას.

2. ეს კანონი ძალაში შედის დღიდან მიღებისა პარლამენტის მიერ.

1919 წ. იანვრის 31-ს.

საქართველოს პარლამენტის თავ.

მჯდომარის ამხანაგი **ექვ. თაყაიშვილი.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

დროებითი დებულება.

საქართველოს წყალთა ძალის გამოყენებისა.

1. 1917 წლის მაისის 5. რუსეთის დროებითი მთავრობის მიერ გამოცემულისა და 1917 წლის სექტემბრის 19 № 227, გამოქვეყნებულის წყალთა ძალის გამოყენების დროებითი კანონის ნაცვლად შემოღებულ იქნეს შემდეგი დებულება:

1. საქართველოს წყალთა ძალა იმყოფება სახელმწიფოს განკარგულებაში.

2. საქართველოს წყალთა ძალის გამოყენებისათვის სადგურების მოწყობა, აგრეთვე მათი ექსპლოატაცია და ძალთა განვითარება უნდა სწარმოებდეს მხოლოდ ამ წესების თანახმად.

3. უფლება სადგურების მოწყობისა და მათი ექსპლოატაციისა, როდესაც სადგურის სიმძლავრე 300 ცხენის ძალას აღემატება გაიცემა კონცესიის წესით.

4. კონცესიებს საბოლოოდ ამტკიცებს: ა. საკანონმდებლო ორგანო, როდესაც სადგურის სიმძლავრე აღემატება 10 ათას ცხენის ძალას, ბ. ხოლო ყველა დანარჩენ შემთხვევაში—მთავრობა.

5. უფლება იმ სადგურის მოწყობისა და ექსპლოატაციისა, რომლის სიმძლავრე 300 ცხენის ძალას არ აღემატება, მიეცემა სანებართვო მოწმობით, რომელსაც აძლევს: ა. მთავრობა როცა წყალთა ძალის გამოყენება საჭიროებს იძულებით ჩამორთმევას ან დროებითი დაჭერას სხვისი უძრავი ქონებისას და ბ. წყალთა სამმართველო ყველა დანარჩენ შემთხვევაში თანახმად 1890 წ. დეკემბრის 3-ს წყალთა კანონისა.

შენიშვნა: სადგურის სიმძლავრე აღირიცხება ფორმულით $W=10\ QH$ სადაც Q აღნიშნავს წყლის ხარჯვას კუბიკურ მეტრით წამში, ხოლო H წყლის გამოსაყენებ სვეტის სიმაღლეს მეტრით.

სათანადო წესით დადასტურებულ საკონცესიო ხელშეკრულებას დასდებს მთავრობის სახელით მიწადმოქმედების მინისტრი.

7. ამ დებულების მე-5 მუხლში მოხსენებულ მოვალეობათა გარდა წყლის სამმართველოს მოვალეობაა ყველა საადმინისტრაციო და სატეხნიკო საქმეების გადაჭრა.

8. თავის განცხადებით წყლის ძალთა ექსპლოატაციის შესახებ მწარმოებლებმა უნდა მიმართონ წყალთა სამმართველოს, ხოლო ეს უკანასკნელი იმ შემთხვევაში, როდესაც მას არ აქვს უფლება საკითხი საბოლოოდ თვითონ გადაჭრას, მწარმოებლის განცხადებას ყველა საჭირო შემოწმებული მასალებით და თავის დასკვნით წარუდგენს მიწადმოქმედების მინისტრს. თავის მხრით მიწადმოქმედების მინისტრი, უკეთუ მას არ აქვს უფლება საკითხის საბოლოოდ გადაჭრისა, მთავრობას წარუდგენს საქმეს თავისი დასკვნით.

9. უკეთუ წყალთა ძალის საექსპლოატაციო ან ელექტრონის ენერგიის მანძილზე გადასაცემ მოწყობილობათა გასამართავად, საჭირო ჩამორთმევა, დროებითი დაჭერა სხვისი უძრავი ქონებისა, ან ამ ქონებით სარგებლობაში მონაწილეობა და მწარმოებელი და ქონების პატრონი ნებაყოფლობით ვერ შეთანხმდენ, იმ შემთხვევაში იძულებითი ჩამორთმევა. დროებით დაჭერა ან—ქონების სარგებლობაში მონაწილეობის უფლების დაწესება მოხდება მთავრობის დადგენილებით, თანახმად იმ წესისა, რომელიც მიღებულია

რკინის გზის საჭიროებისათვის უძრავი ქონების იძულებითი ჩამორთმევისა, დროებითი დაჭერისა ან მონაწილეობის უფლების დასაწესებლად მხოლოდ იმ პირობით, რომ მრეწველს უფლება მიეცეს დაუყონებლივ დაიჭიროს მისთვის საჭირო უძრავი ქონება.

შენიშვნა: იძულებითი ჩამორთმევა, ნამდვილ საჭიროების მიხედვით, შეიძლება შეეხოს იმ უფლებებსაც, რომელიც სამთო მრეწველებს აქვთ მადნეულობის დამუშავებისათვის მინიჭებული.

10. სახელმწიფო მიწის ნაკვეთი, რომელიც სადგურების ასაშენებლად ან ელექტრონის ენერგიის მანძილზე გადასაცემად არის საჭირო, საჯარო ვაჭრობის დაუნიშნავად უნდა გადაეცეს იჯარით კონცესიის ამღებს იმ ვადით, რა ვადითაც კონცესია აქვს აღებული. სათანადო ხელშეკრულობას დასდებს კონცესიის ამღებთან მიწადმოქმედების მინისტრი.

1919 წ. იანვრის 31-ს.
საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ამხანაგი **ექვ. თაყაიშვილი.**
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

დროებითი წესები

დახოცილ ან მუშაობის უნარდაკარგულ სამხედრო პირთა, სახალხო გვარდიელთა და მოხალისეთა და მათი ოჯახების უზრუნველყოფისა.

მუხ. 1. საქართველოს რესპუბლიკის ხაზინიდან, ვიდრე პენსია დაენიშნებოდეთ, ფულით დახმარების მიღების უფლება აქვს საქართველოს ჯარში და სახალხო გვარდიაში იმ სამხედრო მოსამსახურის და მოხელის ოჯახს, რომლის წევრიც მოიკლა ან გარდაიცვალა სომხებთან ომში მიღებულ ჭრილობისა, დაშავებისა თუ ავადმყოფობისაგან. ასეთივე უფლებით სარგებლობს მუშაობის უნარდაკარგული დაშავებულიც.

მუხ. 2. იმ სამხედრო მოსამსახურეს, სახალხო გვარდიელს და მოხალისეს, რომელმაც დაშავების გამო დაკარგა მუშაობის უნარი და ამიტომ იძულებულია სამხედრო სამსახური დასტოვოს,—ყოველ თვიური ჯამაგირი განესაზღვრებათ ასე: ოფიცერს და კლასის ხარისხოვანს, უკეთუ მუშაობის უნარი მთლად დაკარგვია, მიეცემა ორი მესამედი იმ ჯამაგირისა, რომელიც დადებული ჰქონდა დაჭრის დროს; ჯარის კაცს-კი მისი ნორმალური ხელობის ხელფასის საშუალო ნორმის ან მის საცხოვრებელ ადგილას სარჩენ ან საჭირო ხარჯის საშუალო მინიმუმის ორი მესამედი პირველი ქალაქის მუშისთვის, ხოლო მეორე სოფლის მცხოვრებს. უკეთუ დაშავებულს მუშაობის უნარი მთლად არ დაკარგვია, მიეცემა იმავე ნორმის ორი მესამედის ის ნაწილი, რომელიც შეეფერება მუშაობის უნარის დაკარგვის ხარისხს.

მუხ. 3. საშუალო ნორმის და სარჩენი ხარჯის საშუალო მინიმუმის განსაზღვრა დაევალება შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომელიც ყველა ამისათვის საჭირო ცნობებს მიიღებს ადგილობრივ თვითმართველობის ორგანოებისა და შრომის სამინისტროსაგან.

მუხ. 4. ხელფასის საშუალო ნორმა და სარჩენი ხარჯის საშუალო მინიმუმი ყოველ ჯარისკაცისათვის განისალვრება იმ ადგილის მიხედვით, სადაც იგი საომარ მოქმედების დაწყებამდე მუდმივად ცხოვრობდა.

მუხ. 5. ოჯახების წევრებს დახმარებად მიეცემათ გადაცვლილის წლიური ჯამაგირის შემდეგი ნაწილი:

1) ქვრივს—ერთი მესამედი სიკვდილამდის ან ვიდრე გათხოვდებოდეს.

2) ორთავე სქესის შვილებს: კანონიერთ, დაკანონებულთ, ნაშვილებთ და ქორწილს გარეშე ნაშობთ, ვიდრე 15 წლისანი გახდებოდნენ,—თითოს ერთი მეექვსედი, უკეთუ ერთ-ერთი მშობელი ცოცხალი ჰყავთ და ერთი მეოთხედი—სრულ ობლებს.

3) ახლო პირდაპირ ნათესავს მშობლებს, მათ დედ-მამას—ერთი მეექვსედი და

4) სრულ ობოლ ძმებს და დებს, ვიდრე 15 წლისანი შესრულდებოდნენ, თვითეულს—ერთი მეექვსედი, თუ მე 3 და მე-4 პუნქტში მოხსენებული პირნი, გადაცვლილის სარჩენი იყვნენ.

მუხ. 6. ორთავე მშობლების გადაცვალების შემდეგ შვილები (იხ. პუნ. მე-2, მუხ. მე-5) იღებენ ფულით დახმარების იმ ჯამს, რომელიც ეკუთვნის სრულ ობლებს.

მუხ. 7. ფულით დახმარების საერთო ჯამი, რომელიც მე-5 მუხ. მოხსენებული გადაცვალებულის ოჯახის წევრებს ერგებათ, არ უნდა აღემატებოდეს გადაცვალებულის წლიურ ჯამაგირის ორ მესამედს; უკეთუ აღემატება, მაშინ მე-5 მუხლის პირველ და მეორე პუნქტში აღნიშნულ პირთ უპირატესობა მიეცემათ, რათა მთლად დაკმაყოფილებულ იქმნენ, ხოლო იმავე მუხ. მე 3 და მე-4 პუნქტებში აღნიშნულ ნათესავებს-კი დაენიშნება ნაშთი, რომელიც ამ ნათესავთ, თუ ასეთები რამდენიმე აღმოჩნდება, თანაბრად გაეყოფათ, გარდა კანონიერი შვილის დაბადებისა, არავითარი ცვლილება არ დაედება საფუძვლათ ოჯახის წევრებისათვის დანიშნული ფულით დახმარების რაოდენობის შეცვლას.

შენიშვნა: ოჯახათ ჩაითვლება: ცოლი და შვილები ყოველ შემთხვევაში მოხუცებული მშობლები, დები და ძმები კი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ესენი ომის დაწყებამდე სხვის დაუხმარებლად ცხოვრობდნენ გადაცვლილის ხარჯზე.

მუხ. 8. ფულით დახმარების მიცემის დასაწყის ვადათ ჩაითვლება სამხედრო მოსამსახურის გადაცვლის დღე. დახმარების მიცემა მოესპობა დღიდან პენსიის დანიშვნისა.

მუხ. 9. უკეთუ დაობლებულ ოჯახს მომავალში მეტი პენსია დაენიშნა, ვიდრე ფულით დახმარებას იღებდა ამა დროებითი წესების მიხედვით, მაშინ პენსიიდან ეს თანხა გამოერიცხება, თუ ნაკლები დაენიშნა, მაშინ ზედმეტად მიცემული ნამდვილ გასავლად ჩაითვლება და დანიშნული პენსიისაგან არ გამოერიცხება.

მუხ. 10. თვითეულ დაშავებულ ოფიცერსა და კლასიან ხარისხოვანს მთავრობა სადასტურო ქაღალდს აძლევს იმ ჯამაგირის რაოდენობის აღნიშვნით, რომელიც დაჭრის დროს ეძლეოდა.

მუხ. 11. თხოვნა დაჭრილობის მოწმობით, და სადასტურო ქაღალდი ჯამაგირის რაოდენობისა წარედგინება ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოს, რომელზედაც დამოკიდებულია როგორც დახმარების რაოდენობის გადაწყვეტა, აგრეთვე მისი მიცემაც.

შენიშვნა: შრომის უნარის რაოდენობის დაკარგვის აღნუსხვა ევალება ადგილობრივ თვითმმართველობას, რომელიც ამ მიზნისთვის ხელმძღვანელობს 1918 წლის იანვრის 28 კანონით.

მუხ. 12. ომში მოკლულსა ან გადაცვლილ სამხედრო მოსამსახურის შესახებ ცნობები: ჯარის ერთეულის, ხარისხის, თანამდებობის, ჯამაგირის რაოდენობის და თვით გადაცვლის დღის აღნიშვნით წარედგინება სათანადო უფროსების მიერ სამხედრო სამინისტროს პიროვნულ შემადგენლობას, საიდანაც დაობლებულ ოჯახებს შეუძლიათ მიიღონ ატესტატი ფულით დახმარების მიღების უფლებისა; სახალხო გვარდიელების ოჯახები კი ასეთ ატესტატებს მიიღებენ სახალხო გვარდიის შტაბიდან. ეს ატესტატები, თხოვნასთან ერთად, წარედგინება ადგილობრივ მმართველობის ორგანოებს, საიდანაც მიიღებენ საბოლოო ანგარიშს.

მუხ. 13. დაჭრილი სამხედრო პირი, ჰოსპიტალში ექიმობის შემდეგ, თუ საჭირო იქნება, გააგრძელებს ექიმობას საერობო საავადმყოფოში სახელმწიფოს ხარჯზე.

მუხ. 14. ეს დროებითი წესები შედის ძალაში 1918 წლის ქრისტეშობისთვის 9.

მუხ. 15. სამხედრო სამინისტრო თვალ-ყურს ადევნებს ამ კანონის ცხოვრებაში გატარებას შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით და თუ საჭიროდ დაინახა, გამოსცემს შესაფერ ინსტრუქციებს.

მუხ. 16. ამ კანონის განსახორციელებლად გაეხსნას სამხედრო მინისტრს კრედიტი სამას ორმოცდა ათი ათასი მანეთისა.

1919 წ. იანვრის 31-ს.
საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ამხანაგი **ექვ. თაყაიშვილი.**
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

არა ოფიციალური განყოფილება

შინაგან საქმეთა მინისტრის ნოე რამიშვილის სიტყვა.

მოქალაქენო, ხალხის წარმომადგენელნო! არა თუ მარტო ბატონი ახვერდოვი, არამედ ზოგიერთი სხვა პარტიის წარმომადგენელნიც ფიქრობენ, რომ ეს სამწუხარო ამბავი, რომელსაც ადგილი ჰქონდა ახალციხის მაზრაში, პირველ ყოვლისა მთავრობის აგენტების საქმეა.

ჩვენ უნდა ვიცოდეთ, როცა აქ გამოდიან წარმომადგენელნი ამა თუ იმ პარტიისა, ისინი ვალდებულნი არიან მართლა გაეცნონ ადგილობრივ ვითარებას და აქ მოიტანონ ფაქტები. მე მგონი, იმაში დარწმუნდებით, რომ ის ინფორმაცია, რომლითაც სარგებლობს ბატონი ახვერდოვი, ეს არის ინფორმაცია არა დემოკრატიულ წრეებისა, არამედ იმ პირებისა, რომელთანაც ჩვენ მართლა მოგვიხდა ბრძოლა, და რომელთანაც ბრძოლა არც ისე ადრე გათავდება.

მართალია ერთი რამ, როცა ჩვენი ჯარი შევიდა ახალციხეში, ჯარის მეთაურების და ადგილობრივ მცხოვრებლებ წარმომადგენელთა შორის მოხდა ერთნაირი შეთანხმება. ეს შეთანხმება შემდეგში მდგომარეობდა. რაც წინად მოხდა, ამისთვის არავინ არ უნდა დასჯილიყო პოლიტიკურ დანაშაულობებისთვის. კერძოთ ოსმალეთისთვის ხელშეწყობისთვის, თუ ამას წინეთ ჰქონდა ადგილი ამისთვის, რასაკვირველია, ვერავინ დაისჯებოდა. მე უნდა განვაცხადო, რომ მართლა ამ წარსულისთვის არც ერთი ადგილობრივი პირი არ დაგვიტუსაღებია. დატუსაღებას ჰქონდა ადგილი, როცა გამოირკვა, რომ იმ პირებმა, რომლებთანაც მოახდინა შეთანხმება გენერალ მაყაშვილმა, თავისი დაპირება არ აასრულეს.

აქ ბევრს ლაპარაკობდნენ ომარ ეფენდის შესახებ. მაგრამ მარტო ის არ არის აქ სახსენებელი. ომარ ეფენდის გარდა, კიდევ უფრო გავლენიანი პირები გვებრძოდნენ ჩვენ. აი ადერბეიჯანში, მე დავასახელებ ერთ პირს, რომელიც დღეს კიდევაც სოციალისტობს. ეს გახლავთ პეპინოვი, რომელიც ძალიან ახლო ნათესავი გახლავთ ამ ომარ ეფენდის. მე ამას ვასახელებ იცით რატომ? თქვენ უნდა განსაჯოთ ერთი რამ, მოქალაქენო. ბ-ნმა ახვერდოვმა გამოაცხადა, რომ ომარ ეფენდი რამდენჯერმე იყო სტამბოლში, რომ არავითარ შემთხვევაში ეს ოლქი, ახალციხეს მაზრა არ შეერთებოდა საქაროველოს. მე ამ ნიადაგზე, როგორც თავმჯდომარე სამშვიდობო დელეგაციისა, სწორედ ამ ბატონ პეპინოვთან მომიხდა შეტაკება. ეს რამდენიმე წევრმა დელეგაციისა იცის. (ხმა: დიდი ხანია მტერია ჩვენი).

მე მგონია, ეს დიდი ხნის ამბავია და ეხლაც რაც ხდება უნდა იცოდეთ—დასამალავი აქ არაფერია, ამას სათავე წარსულში აქვს.

ჩვენმა სამშვიდობო დელეგაციამ შესძლო, ვეხიბ-ფაშის და ხალილბეის მოლაპარაკების დროს საქართველოსთვის შეენარჩუნებინა აწყურის და აბასთუმანის რაიონები. და თქვენ იცით მერე რა მოხდა ამ ნიადაგზე. ბატონი პეპინოვი არ დაერიდა იმას, რომ, როდესაც ჩვენ გვქონდა მასლაათი ოსმალეთის დელეგაციის თავმჯდომარესთან, იმ დროს აგვიტეხა კამათი ამ ნიადაგზე. ამის შედეგი იყო ის, რომ ოსმალეთის მთავრობამ მოინდომა ამ ხელშეკრულობის დარღვევა. თქვენ იცით მოქალაქენო პარლამენტის წევრნო, რამდენი ხანი გასტანა ამ დავამ, სანამ ოსმალეთი იძულებული შეიქნა, მართლაც ის პირობები, რომელიც მან დასდო შეესრულებინა. მე ვამბობ, ეს იყო ბატონი პეპინოვი, რომელიც სულის ჩამდგმელია ომარ ეფენდის ან შეიძლება, უკუღმა, ჩვენთვის ეს ერთი და იგივე არის.

მათი მიზანი ერთი იყო, ჩვენთვის ჩამოეშორებინა ეს კუთხეები. დღეს კი ბატონი ახვერდოვი ამბობს, ჩვენ თქვენთან ამ შემთვევაში სადაო არაფერი გვაქვს, ვინაიდან ეს ხალხი მოითხოვს ავტონომიასო. და თუ ბატონებო, თუ მართლა დავა იყო ავტონომიის შესახებ, ეს ხომ ახალციხემ უკვე მიიღო, ეს ხომ ხალხს ჩვენ აშკარად გამოუცხადეთ. ეს მათ იცოდნენ, და ამ ნიადაგზე კიდეც მოქმედობენ სამუსლიმანო საქართველოს გამოჩენილი მოღვაწეები. მე ვამბობ საქმე სრულიად ესე არ არის, მდგომარეობა სულ სხვანაირი იყო. და სწორედ იმიტომ, რომ ომარ ეფენდი პეპინოვი და სხვა მათი ამყოლი პირები აგენტები იყვნენ, და მე ვამტკიცებ დღესაც ალბად აგენტები არიან ოსმალეთისა, სწორედ ისინი წინაალმდეგნი იყვნენ, რომ ეს კუთხეები დარჩენილიყვნენ საქართველოს ფარგლებში. აი ამ მიზნით მათ გადადგეს აქტიური ნაბიჯები ყარსის მთავრობის შესადგენად. როცა ჩვენ ეს გავიგეთ როცა ჩაესახა საფუძველი ამ ამბოხებას, რომლის მოწამენი ჩვენ შემდეგ გავხდით, მართლა მთავრობამ გადასწყვიტა, ამ პირების წინააღმდეგ ზომების მიღება. ჩვენ შევასრულეთ ჩვენი სიტყვა, დადებული ახალციხის მცხოვრებთა წარმომადგენლებთან, მაგრამ როცა გამოირკვა, რომ ერთი ნაწილი ბეგებისა უმთავრესად, თქვენ შემდეგ გაიგებთ, აქ აშკარად მოქმედობენ, ეწევიან აგიტაციას საქართველოს წინაალმდეგ, წინაალმდეგ სამუსლიმანო საქართველოს ავტონომიისა, (ჟორდანია: ახალციხის ავტონომიისა) ახალციხის ავტონომიისა საქართველოს ფარგლებში. აი როცა ეს გამოირკვა: ჩვენ იძულებული ვიყავით, და ჩვენ სხვანაირად არ შეგვეძლო მიგვეღო ზომები ამ პირების წინაალმდეგ.

აქ ლაპარაკობდნენ, ადმინისტრაციის მოქმედებამ გამოიწვია ასეთი არეულობასო. თქვენ იცით მოქალაქენო, რომ იქ შესდგა გლეხთა საბჭო, და ამ გლეხთა საბჭოს დიდი უმრავლესობა—100 მუსლიმანი და 30 იყო ქართველი ქრისტიანი. მიუხედავად ამისა, გლეხთა საბჭო ერთხმად იზიარებს ჩვენი მთავრობის პოლიტიკას, და მუდამ მოითხოვდა ომარ ეფენდის და მის მომხრეების წინაალმდეგ ზომების მიღებას, ვინაიდან მათ კარგათ იცოდნენ, ომარ ეფენდის პოლიტიკა, იყო პოლიტიკა ოსმალეთისა.

აქ ლაპარაკობდნენ თითქოს 95°/₀ ხალხისა წინაალმდეგი იყო საქართველოსი, მერე იცის თუ არა ბატონმა ახვერდოვმა, რომ მისი აზრის დამამტკიცებული საბუთი მას არ მოუყვანია და ვერც მოიყვანს, რომ მართლაც ასეთი ყოფილიყო მდგომარეობა, მაშინ ოსმალეთის შემოსევის დროს აუცილებლად დაიწყებოდა ამბოხება ყველა რაიონებში. ჩვენ კი ვიცით სულ წინაალმდეგი. მთელ რაიონებში, კერძოთ ურველისა სრული წესრიგი იყო და აწყურის რაიონშიც არავითარ ამბოხებას ადგილი არ ჰქონდა. მართალია, როცა შემოვიდნენ ასკერები, და ჩვენ ვიცით რომ სწორედ იქ ასკერები იყვნენ, ისინი სცდილობდნენ ძალით შეეიარაღებინათ ადგილობრივ მცხოვრებლები, მიუხედავათ ამისა არავითარ ამბოხებას ადგილი არ ჰქონდა. რასაკვირველია ოსმალების წარმომადგენლებისთვის ხელსაყრელია საქმე ისე წარმოადგინონ, თითქოს იქ მოხდა აჯანყება ადგილობრივ მცხოვრებლებისა, თითქოს მთავრობის პოლიტიკამ შექმნა ისეთი მდგომარეობა, რომ ხალხი, როგორც ასეთი, იძულებული იყო ხმალი აეღო და გამოსულიყო მთავრობის წინაალმდეგ. მე ვამბობ, ამის საწინაალმდეგოთ ლაღადებდნენ მრავალი აშკარა ფაქტები. ყველა იმ ადგილებში, რომელიც თავისუფალნი იყვნენ ასკერთა შემოსევისაგან არავითარ ამბოხებას ადგილი არ ჰქონდა.

აქ ნათქვამი იყო, ადმინისტრაცია აპატიმრებდა გავლენიან პირებსო. აი სწორედ ამ აღშფოთებამ ამ ნიადაგზე გამოიწვია ხალხში არეულობაო. მე აქ თქვენ ერთი ფაქტი უნდა მოგაგონოთ. რამოდენიმე დღის წინად საგარეო საქმეთა მინისტრმა გადმომცა: ადერბეიჯანის წარმომადგენელი აცხადებს, რომ თითქოს თქვენ აქ ტფილისში გყავთ დაპატიმრებული 60 მუსლიმანი პოლიტიკურ ნიადაგზე ბორჩალოს მაზრიდანო. იცით რა გამოირკვა? არაფერი იმის მგზავსი. სულ არის ოციოდე თათარი, მაგრამ ყაჩაღები და მძარცველები, მაგრამ კაცმა არ იცის, მართლა ბორჩალოდან არიან თუ სხვა ადგილებიდან. ესე ქმნიან აშკარა ყალბ ცნობებს, იმ მიზნით, რომ გამოიწვიონ აღშფოთება ჩვენი მთავრობის წინააღმდეგ და გამოძებნონ შესაფერი საბუთები. ახალციხის მაზრაში. მართლაც მოხდა დაპატიმრება. იცით რამდენი იყო, სულ 40. იმათგანი 12 ადგილობრივ ბეგები და მის ამხანაგებია. არ ვიცი, ბატონმა ახვერდოვმა იცის თუ არა, რომ ის ბეგი კობლიანისა (ხმა: ათაბეგი) დიახ ათაბეგი, მართლაც ნუ თუ საეჭვოთ მიაჩნია მას, რომ ეს არის აშკარა აგენტი ოსმალეთისა. და იქ იყვნენ დატუსაღებულნი 12 მისი მიმდევარი და 18 ოსმალეთის ჯარისაგან დატოვებული ასკერები. ლაპარაკი მის შესახებ, რომ ასკერები არ არის ახალციხის მაზრაში, მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს. ეს დატოვებული ასკერები მოქმედობენ ერთად ერთი მიზნით, რომ მოაწყონ აჯანყება ადგილობრივ მცხოვრებლებისა. ამ დატუსაღებულთა შორის იყვნენ ცნობილი პეპინოვის ორი ძმა. ეს პეპინოვი ნამდვილი პიროვნებაა და მის შემდეგ, რაც ჩვენ ვიცით მისი მოქმედება ბათუმში, არ ვიცი შეიცვალა თუ არა მისი პოლიტიკა, მაგრამ თუ ეს მაშინ მართლა წინაალმდეგი იყო საქართველოსი და ყველა ეშმაკს უკავშირდებოდა, მე ვამბობ სწორედ ეშმაკს, პეპინოვი უკავშირდებოდა ოსმალეთის ემისრებს, ფაშებს, ჩვენს წინაალმდეგ, მის შემდეგ არაფერი არ გამოცვლილა. მართალია რაკი შეუძლებელია ძველი ოსმალეთის შექმნა, საჭიროა აქ შეიქმნას ახალი სახელმწიფო, რომელიც სხვათა შორის, ამა თუ იმ გზით დაუკავშირდება ადერბეიჯანს. და უნდა მოგახსენოთ ერთი რამ, ეს იციან ბათომის დელეგაციის წევრებმა. მე საჭიროთ მიმაჩნია ეს პარლამენტმა კარგათ გაითვალისწინოს. ოსმალეთის წარმომადგენელნი დიდ დათმობაზე მიდიოდნენ, თუკი ჩვენ ოსმალეთს საშუალებას მივცემდით ადერბეიჯანთან საერთო საზღვარი მიეღო ბორჩალოს სამხრეთი ნაწილის დათმობით. დიახ, ასეთ პოლიტიკას აწარმოებდნენ და აწარმოებენ დღესაც ის პირები, რომელნიც პეპინოვისა და ომარ ეფენდის მიმდევრებია. დაპატიმრებულთა შორის გარდა პეპინოვის ძმებისა, ომარ-ფაშის ხუთი უახლოესი თანამშრომელნი იყვნენ. მთავრობამ მიიღო ზომები ამ პირების დასაპატიმრებლად. მე მგონი, პარლამენტს ექნებოდა სრული უფლება, ჩვენ რომ ასეთი ზო-

შები არ მიგველო, ეთქვა, რომ მთავრობა არ სდგას თავის სიმაღლეზე, ის არ იცავს ჩვენ სუვერენობას, არ სცდილობს საქართველოს მტერის წინააღმდეგ მიიღოს საჭირო ზომები. ეხლა საიდუმლო დოკუმენტის შესახებ. როცა ამას მოითხოვს პოლიტიკური მოსაზრება, ეს დოკუმენტები ქრებიან ან ამას ყალბად გამოაცხადებენ, მე ვამბობ, როცა ამას მოითხოვს სწორედ პოლიტიკური ინტერესები. მაგრამ ეს ხომ, ეს დოკუმენტი ჩვენ არ შეგვიქმნია, ეს დოკუმენტი ხელთ იგდო ჩვენმა ცნობილმა მოღვაწემ, რომელსაც დიდი ხანი უცხოვრია ოსმალეთში, და სხვათა შორის, იქაურ ტრადიციებსაც კარგად იცნობს. და აშკარად არის ნათქვამი, რომ უნდა შემდგარიყო მთავრობა, რომელიც მიზნათ დაისახავდა ყარსის და ბათომის ოლქებიდან დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას. ყველაფერი ეს შემდეგში დამტკიცდა და აშკარა ფაქტებმა ეს დაადასტურეს. დღეს კი გამოდიან, და ამბობენ, ეს დოკუმენტი მართალი არ არის. ასეთი გზით ცდილობენ თავისი პოლიტიკის გამართლებას. ყველა ის, რაც მოხდა, ეს იყო შედეგი იმ მოღვაწეობისა, რომელსაც ეწეოდნენ ბათუმში და სხვა ადგილებში ოსმალეთის აგენტები, და მათი მოქმედება მიმართული იყო სწორედ იქითკენ, რომ დაეცათ საქართველოს ძალა-გავლენა იმ კუთხეში, და შეექმნათ ისეთი მდგომარეობა, როცა შიგნიდან და გარედან შესუსტებული საქართველოს დემოკრატია, წამოიჩოქებდა ოსმალეთის და მის აგენტების წინაშე.

აქ ამტკიცებენ, და უფრო მეტს კიდევ ლაპარაკობენ საზოგადოებაში, რომ თითქოს მოხდა ამბოხება და ამის დასამტკიცებლათ მოჰყავთ რამდენიმე ფაქტები, ჯარს ზურგიდან თავს ესხმოდა აჯანყებული მცხოვრებლებით. მე უნდა განვაცხადო, როგორც გლეხთა საბჭო, აგრეთვე ადგილობრივი მცხოვრებლები მუდამ მოითხოვდნენ, რომ ჩვენი ჯარი გაძლიერებულიყო ამ განაპირა კუთხეებში, რომ მართლაც იქ შეექმნათ ისეთი ძალა, რომელიც სავსებით უზრუნველჰყოფდა ოსმალეთის შემოსევისაგან, და მე სხვანაირად არ შემიძლიან მოვნათლო ეს თავდასხმა, თუ არ ოსმალეთის შემოსევათ ფოცხოვის და არტაანის ოლქებიდან. და რომ მართლაც ამბოხებას ადგილი არ ჰქონია, ამას ამტკიცებს ერთი ფაქტი. აი აიღეთ აწყური, ყველაზე საშიში რაიონი სწორედ აწყურია, ყველაზე უფრო ადვილი ჩვენი ჯარის წინააღმდეგ ამ რაიონში მოქმედებაა. მიუხედავათ ამისა, ჩვენ ჯარის იქ ყოფნის და დატოვების დროს ხალხს ერთხელაც არ უსვრია თოფი ჩვენი ჯარის წინააღმდეგ. და ჩვენ გვაქვს რამდენიმე ცნობა იმის შესახებ, რომ ამჟამადაც ასე რამდენად შესაძლებელი არის გარეშე მტრის შემოსევის დროს, ისინი ნეიტრალობას იცავდნენ. მე ამით არ მინდა იმის თქმა, რომ ჩვენ ადმინისტრაციას იმ პირობებში, რომელშიაც იქ იმყოფებოდა, არ ჩაედინა რაიმე შეცდომა. მაგრამ ერთი რამ უნდა ვსთქვა: დიდი ნაწილი ამ ადმინისტრაციისა იყო ადგილობრივი მუსლიმანები, იქ მაზრის კომისრად ითვლებოდა ჰაიდარ აბაშიძე, გარდა ამისა რაიონის კომისარებათ იყვნენ ისეთი პირები, რომელიც სარგებლობდნენ ადგილობრივი მცხოვრებლების ნდობით. ეს ჩვენ გვაძლევს სრულ უფლებას ვსთქვათ, რომ აქ საქმე არის არა ადმინისტრაციის ვარგისობასა და უვარგისობაში, არავინ არ ლაპარაკობს ადმინისტრაციის უვარგისობაზე სოჭის ოლქში, მაგრამ იქ, როცა ერთნაირი პოლიტიკური მოსაზრება მოითხოვდა საზღვრების გადალახვას, მაშინ შემოსევაც დაიწყო. ჩვენ უნდა ვთქვათ, აქ საქმე ეხება არა ადმინისტრაციის უვარგისობას. ის სამწუხარო ამბები, რომელიც აქ დატრიალდა აიხსნება არა ადმინისტრაციის უვარგისობით, არამედ ოსმალეთის აშკარა აგენტების მოღვაწეობით. პარლამენტი ვალდებულია ამას აშკარად ჩაუკვირდეს და სწორედ ნამდვილი მიზეზი გამოსძებნოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ ჩავიდენთ ერთ დიდ დანაშაულობას: თურქოფილების განმარტების და მათ მოქმედების გამართლებას.

ჩვენ კარგათ უნდა ვიცოდეთ, ის რაც დატრიალდა ახალციხის მაზრაში, ეს იყო შედეგი არა ადმინისტრაციის მოქმედებისა, თუმცა შეიძლება ზოგიერთ შეცდომებს ადგილი ჰქონდეს,—არამედ ეს შემოსევა მოწყობილია ოსმალეთის აგენტების და მათი ხელმძღვანელების მიერ, რომელთაც ჩვენში გვერდში უდგებიან საზოგადოების ის ნაწილები, რომელიც აქ ჩვენგან ერთს მოითხოვდნენ, რომ ჩვენ ხელი აგვეღო აგრარულ რეფორმის განხორციელებაზე. ეს აგენტები დარწმუნებული იყვნენ, რომ საქართველო, რანაირიც უნდა ყოფილიყო მისი შინაური პოლიტიკა, თუნდაც რომ მას ხელი აეღო აგრარულ რეფორმის დაჩქარებით განხორციელებაზე, ყოველ შემთხვევაში ეცლებოდათ ნიადაგი მათ ბატონობას. სწორედ ამითი აიხსნება გარეშე მტრების მოწვევა და აი შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომელშიაც ჩვენ ვიმყოფებით. და თუ პარლამენტი გაითვალისწინებს იმას, რაც მოხდა, ის გამონახავს შესაფერ გზას საქართველოს დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფათ და იმ დიდ მიზნების განსახორციელებლათ, რომელსაც ისახავს ჩვენი დემოკრატია (ტაში).

მიწათ-მოქმედების მინისტრის განმარტება.

რევოლიუციის პირველ თვეებშივე ტფილისში შეიკრიბენ გლეხების ყველა საბჭოების წარმომადგენელნი, რომელთაც ერთხმად დაადგინეს, რომ მემამულეებს ჩამოერთოს ზედმეტი მიწა და მათ სრულ საკუთრებაში დაეტოვოს ნორმით იმდენი, რამდენიც აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ოჯახის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ. ასევე დაადგინა მუშების ყველა საბჭოების ყრილობამ. ეგივე დააკანონეს მთელი ხალხისაგან არჩეულმა დეპუტატებმა და 1918 წ. 7 მარტს ნორმაც შეიმუშავეს. ამნაირათ მთელი ხალხის ნება იყო, არ მოესპოთ მემამულეებისათვის შეძლება ეწარმოებინათ საკუთარი მეურნეობა, არ მოესპოთ მათთვის საშუალება საკუთარი შრომით თავის რჩენისა, არ მიეცათ მათთვის საბუთი ეთქვათ, რომ მათ მოექცნენ უსამართლოდ—ცხოვრების სახსარი არ დაუტოვეს. ასეთი დადგენილება გასაგებიც არის, რადგან საქართველოს დემოკრატია შეგნებულია და ჩვეული არ არის დარბევა—დახოცვას, რასაც ადგილი აქვს შეუგნებელ მასაში. დემოკრატიული სახელმწიფო დაინტერესებულია იმაში, რომ ყველა მოქალაქეს ჰქონდეს საშუალება შრომისა. სამწუხაროდ, ზოგიერთი ადგილებიდან ცნობები მომდის, რომ ზოგი შეუგნებელი პირები ანგარიშს არ უწევენ მთელი ხალხის ნებას, ძალადობით იჭერენ მემამულეებისათვის დატოვებულ ნორმას, არ ანებებენ, რომ უკანასკნელებმა თითონ აწარმოვონ მეურნეობა მათთვის დატოვებულ საკუთრებაზე და მოიხმარონ ის ისე, როგორც მათ სურთ.

ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია განვუმარტო ყველას, რომ ნორმაში დატოვებული მამული შეადგენს პატრონების სრულ საკუთრებას, რომლის მოხმარება მათ შეუძლიანთ ისევე თავისუფლათ, როგორც საზოგადოთ მიწის ყველა მესაკუთრეს, რომ არავის ნება არ აქვს ძალით დაიჭიროს ნორმაში დატოვებული მამული. ყველა ასეთ შემთხვევაში ყოფილ მემამულეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს, რომელიც დაადგენს მოძალადის გაძევებას და მთელს ზარალს და ხარჯებს დამნაშავეს დააკისრებს, რაც დაუყონებლივ შესრულებული იქნება ადმინისტრაციის მიერ. მიწის პატრონზე ძალადობას არევა შეაქვს სოფლის მეურნეობაში, რაც დაუშვებელია.

მე მოუწოდებ სოფლის საზოგადოებებს თვით შეებრძოლონ ამ მოვლენას, რომ საჭირო არ დარჩეს სასამართლოსა და ადმინისტრაციის ჩარევა. ხალხმა საბუთი არ უნდა მისცეს მიწის ჩამორთმევის მტრებს ილაპარაკონ ვითომ დემოკრატია უსამართლოდ ექცევა ყოფილ მემამულეებს. გარდა ამისა საადგილ-მამულო დაწესებულებებს და იმ ორგანოებს, რომელთაც კანონით დაკისრებული აქვთ მიწის რეფორმის ცხოვრებაში გატარება, ვავალებ სერიოზული ყურადღება მიაქციონ ზემოაღნიშნულ მოვლენას და ახალ საადგილ-მამულო ურთიერთობის მოწესრიგებას.

მიწათ-მოქმედების მინისტრი **ნ. ხომერიკი.**

დამფუძნებელი კრების გარშემო

დამფუძნებელ კრების ცენტრალურ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ გუშინ საღამოზე შემდეგი დამატებითი ცნობანი მიიღო ლეჩხუმის სამაზრო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისაგან: ქვემო სვანეთის სამ სასოფლო საზოგადოებაში (ლენტეხში, ჩოლურში და ლაშხეთში) არჩევნებში მონაწილეობა მიუღიათ 2978 ამომრჩეველთ. № 1 სიას სოც. დემ. მიუღიათ 2896 ხმა, № 2 სიას ერ. დ. 5. ნ სიას სოც. ფედ. 175 და № 11 სიას უპარტიოთა კავშირისას—2 ხმა. მთელ ლეჩხუმის მაზრაში სულ 13,265 ამომრჩეველთ მიუღიათ მონაწილეობა არჩევნებში.

იმავე ცენტრალურ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ გუშინ საღამოზე მიიღო დეპეშა თიონეთის მაზრის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესაგან არჩევნების შედეგის შესახებ. თიონეთის მაზრაში არჩევნებში მონაწილეობა მიუღიათ სულ 6897 ამომრჩევლებს. № 1 სიას სოც. დემ. მიუღია 4729 ხმა, № 2 ეროვ. დემ. სიას—384, № 3 სოც. რევ. სიას—4, № 5 სოც. ფედ. სიას—1728, № 7 სიას საქ. რად. დემ. 19, № 8. ეროვნ. პარტიის სიას —14, № 9 მემარცხენე სოც. ფედ. სიას —4 და № 11 უპარტიო კავშირის სიას—8 ხმა. გაბათილებულია 6 ხმა.

დამფუძნებელ კრების ცენტრალურ კომისიამ გუშინ ფოთიდან მიიღო საქალაქო საარჩევნო კომისიის ოქმი არჩევნების შესახებ და აგრეთვე ყველა საარჩევნო მასალა. ხაშურის საქალაქო საარჩევნო კომისიას არც არჩევნების ოქმი და არც დეპეშით ცნობები არჩევნების შესახებ ჯერ არ მოუწვდენია.

სამხედრო სამინისტროში

ზაქათალის ოლქის ლეკები.

ლაგოდეხის სარაიონო სამხედრო უფროსისაგან სამხედრო მინისტრმა შემდეგი დეპეშა მიიღო: ზაქათალის ოლქის ლეკები პარტიზანულ რაზმებს ადგენენ. ზოგი ხმებით ჩვენ წინააღმდეგ, მეორე ცნობით კი აღერბეიჯანის მთავრობის წარმომადგენელთა განსადევნელათ. ამასთან ერთად სოფლები შრომა და კობახჩოლცა ჩვენ დამოკიდებულებას ამწვავებენ. საქონლის გატაცება და მკვლელობა გახშირდა. ადგილობრივი ძალები ვერ იცავენ მტკიცეთ საქართველოს რესპუბლიკის ინტერესებს. საჭიროა დაუყონებლივ გამოგზავნოთ გამოცდილი რწმუნებული პირნი, რომელნიც ადგილობრივ გაეცნობიან საქმის მდგომარეობას და კეთილად წაუძღვებიან მას.

გზათა სამინისტროში

საზღვრების გადმოლახვა.

გზათა სამინისტრომ აცნობა შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ მიღებულ ცნობით უკანასკნელ დროს სანაინის ახლო სომხები გადმოდიან ჩვენ საზღვარზე და მოიწევენ საქართველოს შუა გულში. სამინისტრო სთხოვს შინაგან საქმეთა მინისტრს მიიღოს ზომები ამ მოვლენის მოსასპობათ სანამ მათი მიმოსვლის საკითხი არ გადიჭრება მოსაზღვრე რესპუბლიკათა შორის შეთანხმებით.

ფოსტა-ტელეგრაფი

განახლდა ფოსტა-ტელეგრაფის ოპერაციები ალავერდის (ტფილისის გუბერნია) ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში.

19 ამა თებერვლიდან განახლდა ტელეგრაფის კავშირი სომხეთის რესპუბლიკასთან.

დეპეშები ინიხრებიან სიტყვაში 70 კაპ. გადახდევინებით.

დაწესდა აგრეთვე პეტროვსკში და დარუბანდში (დაღესტნის ოლქი) მიმართულ დეპეშათა მიღება აღერბეიჯანთან დაწესებულ ნიხრის გადახდევინებით.

მომენტის გამო.

თიანეთი. თიანეთის მაზრის კომიტეტი მთელის თავის არსებით მხარს უჭერს მთავრობას მუხანათურ მტერთან ბრძოლაში. შეუდგა მუშაობას მთელ მაზრაში საქმის სასურველად დაგვირგვინებისათვის და ღრმად არის დარწმუნებული, რომ თავისუფალი საქართველო დაანახვებს ყველას, თუ როგორი თავგამოდებით იცავს ჩვენი დემოკრატია დამოუკიდებელ არსებობას. თავმჯდომარე ტრაპაიძე.

სოხუმი. სოხუმის ქართველი მომქმედი საზოგადოება საჭიროდ სთვლის ყოველნაირი საშუალებით დახმარება აღმოუჩინოს მთავრობას სანაპიროს დაცვის საქმეში. მეომართა მოთხოვნილების დაუყოვნებლივ დასაკმაყოფილებლად დადგენილია ხაზინაში ფულის დაგროვებას ხელი შეუწყონ განაღდებით, გადასახადების აკრეფით და შეწირულობით. ნიკო თავდგირიძე.

ქრონიკა

○ 20 თებერვალს ერევნიდან ტფილისში ჩამოვიდნენ სომხეთის მთავრობის თავმჯდომარე ყაჩაზნუნი და რამოდენიმე პარლამენტის წევრი.

○ სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან, რომ სოჭის ოლქის დაცლის შესახებ ბრძანება ლონდონიდან მოსულა.

○ სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან, რომ ოსმალებმა საბოლოოთ გასწმინდეს ყარსის ოლქი.

○ დიდი თოვლის გამო მატარებლების მიმოსვლა ყარსსა და გუმბრის შუა შეჩერებულია.

○ რუსთა ეროვნულ საბჭომ თხოვნით მიმართა გარეშე საქმეთა მინისტრს: ნუ იყოლიებენ სატუსაღოებში მოხალისეთა ჯართან შეტაკების დროს წამოყვანილ ოფიცრებს. მინისტრმა აცნობა მათ, რომ ყველა ტყვე რუსი ოფიცრები გაიგზავნებიან ქუთაისში და მათ მოეპყრობიან ისე, როგორც სამხედრო ტყვეებს.

○ უკანასკნელ დროს გამოირკვა, რომ უმეტესობა იმ პირთა, რომელნიც აღერბეიჯანში მიდიან არა აქვთ სათანადო ნებართვა, რაც იწვევს საზღვარზე გაუგებრობას, რის თავიდან ასაცილებლათ აღერბეიჯანის მთავრობის მისია აცხადებს, რომ საქართველოს ნებართვასთან ერთად აუცილებლად საჭიროა აღერბეიჯანის დიპლომატიურ მისიის ნებართვაც.

○ სომხეთის პარლამენტის თავმჯდომარემ სააკიანმა ისაუბრა გენერალ ბიჩთან, რომელმაც აცნობა მას, რომ ენზელიდან ბაქოში მოვიდა მთელი ხომალდი ბრინჯი. გარდა ამისა ინგლისელებს ბაშნორაშენში უყიდიათ ხორბალი 10000 ფ.

○ 15 თებერვალს გაბაშვილის წერილის გამო, რომელიც შეეხებოდა ინგლისელებს 1 კვირით დახურეს გაზეთი „სალი კლდე“. ამავე წერილის გადაბეჭდვისთვის „კავკასკოე სლოვო“ 1 დღით შეაჩერეს.

○ 21 თებერვალს ოლგას ქუჩაზე კოოპერატივის დუქნის გატეხის დროს მიასწრეს ბოროტ-მოქმედებს და შეიპყრეს ისინი, რომელნიც აღმოჩნდენ თედორაძე, მიქელიანცი და იანაკოვი.

○ 21 თებერვალს ი. ანტონოვის ბინიდან (ვაკეზე) მის სახლში არ ყოფნის დროს ბოროტ-მოქმედებმა წაიღეს 7000 მან. სხვა და სხვა ნივთეულობა.

○ ქართულ ლატარიის მთავარ გამგეობის საპატიო წევრთა ნ. ვაბაშვილის და მ. რამიშვილის ინიციატორობით ამ მოკლე ხანში ქართულ კლუბის დარბაზში გაიმართება დიდი სალამო კაბარე ქ-ნ საბანეევის და ჩვენ ცნობილ პოეტთა და მსახიობთა მონაწილეობით.

○ 19 თებერვალს სღ. 9 საათზე მე-5 ფერმო-ავლაბრის ქუჩაზე № 41 ო. ოკოპოვის ბინაზე შეიჭრენ რამოდენიმე შეიარაღებულნი პირნი და სიკვდილის მუქარით 3000 მ. და სხვა ძვირფასი ნივთები გაიტაცეს და მიიმალნენ.

○ 19 თებერვალს საღ. 8 საათზე ამაღლების ქუჩაზე № 92 პ. გეგეშიძის ბინაზე რამოდენიმე შეიარაღებულნი პირნი შეიჭრენ და 10000 მან. ნიკოლოზის ფული და 5000 მანეთის სხვა და სხვა ნივთები გაიტაცეს.

○ თებერვლის 19-ს საღამოს 8 საათზე იურიევის ქუჩაზე ბოროტ-განმზრახველებმა მოჰკლეს რკინის გზის კონდუქტორი ვ. ბარდაველიძე. მოკლულის გვამი არამიანცის საავადმყოფოში წაიღეს.

○ 20 თებერვალს ნ. იაკოვლევის ბინიდან ბოროტ-განმზრახველებმა 30,000 მან. სხვა და სხვა ძვირფასი ნივთები მოიპარეს. ეჭვით დააპატიმრეს მოსამსახურე დ. ლაპშინა.

○ იანვარში, მთელი თვის განმავლობაში ქალაქის შრომის ბირჟაში ჩაეწერა 484 სული; იმათში 317 მამაკაცი, 167 დედაკაცი. გამოცხადდენ ბირჟაში 1322 ჯერ. აღმოუჩინეს ალაგი 49 უმუშევარს ან 10% ჩაწერილისა.

○ ტფილისის ვაჟთა მე 8 გიმნაზიის დირექტორი სთხოვს ხსენებულ გიმნაზიის მოწაფეთა მშობლებს და მზრუნველებს მობრძანდნენ კვირას, 23 თებერვალს, დილის 10 საათზე გიმნაზიის დარბაზში მშობელთა წრის დაარსების შესახებმოსალაპარაკებლად.

ჭორები საქართველოს შესახებ

როგორც სარატოვის რაიონში, ისე ყუბანის ოლქში, მატარებელში თუ სხვაგან, სადაც კი 5—10 კაცი მოიყრის თავს, აუცილებლათ ჩამოვარდება ლაპარაკი საქართველოს შესახებ. საქართველო მოღალატეა. აბა, შეხედე სომხებს, როგორი ერთგულება გამოიჩინეს, ამბობს ერთი პოლკოვნიკი, საქართველოდან დაბრუნებული. სომხებმა ტფილისი აიღეს და ეხლა ჩვენთან შემოერთება უნდათ; ამ დღეებში სომხების მთელი დივიზია ჩვენს ჯარს შეუერთდებაო.

სომხის შოვინისტები ხომ ცეცხლზე ნავთს ასხამენ. ეწევიან აგიტაციას: საქართველოდან რუსებს ერეკებიან, ვინც არ დასტოვებს საქართველოს, ჯარში გაჰყავთ ან ციხეში ამწყვდევენ, აი, რას გაიგონებთ მათგან. ყველაფერი ეს ნდობას უკარგავს ქართველებს, ისედაც შევიწროვებულთ კიდევ უფრო ავიწროებენ.

ჩვენი სამხედრო ტყვეები აუტანელ გაჭირ-

ვებას განიცდიან, მშიერნი, შიშველ ტიტველნი დაბრუნებული ტყვეები ლამობენ ჩქარა სამშობლოში მისვლას, მაგრამ ნაცვლად ხელის შეწყობისა, მათ აჩერებენ გზებში, უმეტესად ყუბანში, ამუშავებენ სოფლებში, არის შემთხვევა, როცა როზგებითაც უმასპინძლდებიან. ამის შესახებ არა ერთხელ მიმართეს ყუბანის მთავრობის წევრს, რომელიც განაგებს ტყვეების საქმეს, რომლისგანაც პასუხად მიიღეს: „ყველა ქართველი ტყვეები მიღებისთანავე იგზავნებიან საქართველოში, ჩვენ მათ არ ვაჩერებთ, მაგრამ არის შემთხვევა, როცა დენიკინის მოხელენი აჩერებენ მათ, ამის გამო საჭიროა მიმართოთ დენიკინს. ასეც მოიქცა საქართველოს წარმომადგენელი, მაგრამ ასეთ მოვლენას ბოლო არ ელება. დენიკინის მომხრენი კი ყოველივე საშუალებას ხმარობენ რითაც კი შეეძლებათ შეავიწროვონ საქართველოს მოქალაქენი.

(„ერ.“).

ტფილისის ქალაქის საბჭოში

ყოფილ ქალაქის გამგეობის წევრმა ს. გ. ფირუმოვმა, რომელსაც სხვათა შორის ებარა გამგეობის საფინანსო განყოფილების ზედამხედველობა და ხელმძღვანელობა, გუშინ ქალაქის მოურავის მოადგილეს გ. გ. კონიევს ჩააბარა გამგეობის საფინანსო განყოფილება და ქალაქის კასა, შენახულ თანხებით.

ყოფილ ქალაქის გამგეობის წევრებმა ი. ლ. ჩერქეზიშვილმა და ი. ი. ხურამოვიჩმა გუშინ აგრეთვე ჩააბარეს ქალაქის გამგეობის ახალ წევრებს იმ განყოფილების საქმეები, რომლებსაც მათ აწარმოებდნენ.

—

გუშინ პირველი სხდომა ჰქონდა საბჭოს საბიუჯეტო და საფინანსო კომისიას. კომისიამ თავის თავმჯდომარეთ ამოირჩია [illegible] ა. თოფურიძე (სოც. დემ.) და მის ამხანაგათ კ. ნ. აბხაზი (დამოუკიდებელთა კავშირი).

—

ქალაქის გამგეობის შტატის სარეორგანიზაციო ახლად არჩეულ კომისიამ თავის თავმჯდომარეთ ს. ჯიბლაძე ამოირჩია და მის ამხანაგათ—ჯაჯანაშვილი.

—

საბჭოს საიურიდიულო კომისიის სხდომა 20 თებერვალს თავმჯდომარის და მის ამხანაგის ამოსარჩევათ არ შესდგა, რადგანაც კანონიერი ხმოსანთა რიცხვი არ დაესწრო სხდომას.

—

ქალაქის ახალ საბჭოს მესამე მორიგი სხდომა დანიშნულია 24 თებერვალს. საბჭოს პრეზიდიუმი არ დაუცდის ქალაქის ახალ მოურავის ტფილისში ჩამოსვლას და საბჭოს განსახილველად ამ სხდომაზე შეაქვს საკითხი ახალ წყაროების მონახვისა აუარებელ ხარჯების დასაფარავად. ქალაქის გამგეობას სხვათა შორის განზრახვა აქვს ტრამვაის და წყლის ტარიფის გადიდებისა და სხვ.

თეატრი და მუსიკა

აბესალომ და ეთერი *)

დღეს სახელმწიფო თეატრში პირველად დაიდგმება 5 მოქმედებიან და 7 სურათიანი ოპერა. მუს. ზ. ფალიაშვილისა, ლიბრეტო პ. მირიანაშვილისა.

სიუჟეტი ამ ოპერისა აღებულია ქართული ხალხური პოეზიიდან.

ძველად საქართველოში სცხოვრობდა აბიო მეფე, რომელსაც ჰყავდა ვაჟი აბესალომ და ქალი მარიხ ვარსკვლავი. ერთხელ მეფის ძე აბესალომი სანადიროდ წავიდა, თან ახლდა ამალა და სხვათა შორის მურმან ვეზირიც. დაბურულ ტყეში აბესალომი შეხვდა წყლის პირს ძონძებში გახვეულს მშვენიერს ეთერს, რომელიც დედინაცვლის ბრძანებით ძროხას აძოვებდა. აბესალომი, მისი სილამაზით დატყვევებული, ცოლად გაყოლას სთხოვს, მაგრამ ეთერი უარს ეუბნება და ტყეში იმალება.

მურმანსაც შეუყვარდება ეთერი და გადასწყვიტავს, როგორმე მისი გული მოიგოს.

მეფის ძე აბესალომი, მიდის ეთერის დედინაცვლის სახლში და ჰნახავს მტირალ ეთერს, დედინაცვლისგან შეწუხებულს. აბესალომი მეორედ სთხოვს ეთერს ცოლობას და სიყვარულის ნიშნად აჩუქებს ოქროს დანას. ეთერი დასთანხმდება და საჩუქარსაც მიიღებს.

მეფე აბიო სიხარულით ეგებება აბესალომის დაცოლიანებას და გადასცემს მას გვირგვინს. იმართება დიდებული ქორწილი, ცეკვა და სიმღერა.

მურმანი ეთერის გათხოვებით შეწუხებული ტყეში დაეხეტება თავის ციხის გარემო და შეჰხვდება მავნე სულს ბელიარ ეშმაკს. ბელიარი მურმანს შველასა ჰპირდება და აღუთქვამს ლამაზ ეთერის მიცემას, თუ მურმანი მას დედის სულს მისცემს. დიდი ყოყმანის შემდეგ მურმანი დასთანხმდება და შეჰფიცავს, ბელიარ ეშმაკი კი აძლევს მაჯუნს, რის საშუალებითაც ეთერი დროებით ძალიან ავადა ჰხდება.

მეფე აბესალომი გაიგებს ეთერის ავადმყოფობას და თავის უბედურებას სტირის. სეფე ქალთ გამოჰყავთ ავადმყოფი დედოფალი ეთერი, რომელიც მეფესა სთხოვს დაითხოვოს იგი, რადგან ავადყოფობისა გამო დედოფლობა აღარ უნდა. ამასვე სთხოვენ აბესალომს მისი დედა ნათელა, მარიხ ვარსკვლავი და მახლობელნი. აბესალომი ყოყმანის შემდეგ დასთანხმდება და ამალას ჰკითხავს ვისა სურს ეთერის წაყვანა ვეზირი. მურმანი ამალიდგან წინ წამოვა და მეფეს მოახსენებს, რომ მასზედ უკეთესს მფარველს ეთერისათვის ვერ მოსძებნიან და რომ ამისთანა პატივისათვის საუკუნოდ იქნება აბესალომის მადლობელი. აბესალომი მურმანის ასეთ საქციელს არ მოელის და გადასწყვეტს დედოფალი ეთერი მას გადასცეს. მურმანს ეთერი მიჰყავს.

ეთერი დაპირებისამებრ მალე განიკურნება აბესალომი ეთერის დარდით ავად ხდება. ერთხელ მურმანის სახლის ახლოს გაივლის და გაიგებს, რომ ეთერი განკურნებულა. აბესალომი გადასწყვეტს მურმანი საომრად გაგზავნოს იმ მიზნით, რომ ის ომიდგან ცოცხალი აღარ დაბრუნდეს და ამნაირად ეთერი ისევ უკან დაიბრუნოს. მურმანი საომრად მიდის. აბესალომი ეთერს სთხოვს თავისი დედისა და დის საშუალებით აბესალომთან დაბრუნდეს. ეთერს აბესალომისადმი სიყვარული განუცხოველდება და ავადმყოფ აბესალომის სანახავად წავა. ეთერი ვერ უძლებს მწუხარებას მომაკვდავი აბესალომის დანახვაზედ, ამოიღებს მის ნაჩუქარ დანას, გულში დაიკრავს და ორივე ერთად კვდებიან.

გურჯაანელი.

---

*) ეს წერილი გუშინდელ ნომერში უნდა დაბეჭდილიყო.

განცხადებანი

ურბნისის საეპარქიო სასამართლოში თამარა ნიკოლოზის ასულმა ნავრუზოვისამ შემოიტანა იანვრის 24-დან 1919 წ. საჩივარი განქორწინებაზე, მრუშობისა გამო, თავის ქმართან ვლადიმერ იოსების ძე ნავრუზოვთან, რომელიც სადღაც გადაიკარგა. საეპარქიო სასამართლო იწვევს ვ. ნავრუზოვს საქმის გარჩევაზე დასასწრებლად ქ. გორში. უკეთუ იგი არ გამოცხადდება, საქმეს მიეცემა მსვლელობა და განაჩენი დადგინდება ნავრუზოვის დაუსწრებლად. 239 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. ნოემბრის 29-ს დამტკიცებულია, 1917 წ. ნოემბრის 22-ს შედგენილი, ნასყიდობის სიგელი, რომლითაც აკულინა ილინიშნა ლეხნიცკაიამ 2.600 მან. მიჰყიდა იოსებ ალექსის ძე [illegible]კოლოშვილს მიწის ნაჭერი ქ. ფოთში, მეშვიდე უბ. № 74, ზომით 200 ოთხკ. საჯ. სიმტკიცის გადასახადად მიღებულია 104 მან. მთავარი ამონაწერი 13 მან. ღირებულების სადერბო ქაღალდზე მიცემულია იმავე წლის ნოემბრის 29 ს. 1269 1—1

თებრონიკე ესტატე თავაძის ასულმა ნათაძისამ თებერვლის 7, 1919 წ. შემოიტანა ურბნისის საეპარქიო სასამართლოში თხოვნა, რომ მისი ქმარი ნიკოლოზ მოსეს ძე ნათაძე უკვლოდ გადაიკარგა 1908 წ. ქ. ტფილისიდან. ყველა, ვინც კი იცის საცხოვრებელი ბინა ნიკოლოზ ნათაძისა, ან რაიმე ცნობა აქვს იმაზე, ვალდებულია საქართველოს რესპუბლიკის კანონების ძალით, გამოუცხადოს საეპარქიო სასამართლოს.
238 1—1

მიხეილ ივანეს ძე კონდახჩევი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა 1. უვადო პასპორტი, მიღებული ახალციხის საზოგ. სამმართველოდან 1912 წ. № 843. 2. მეტრიკული მოწმობა, მიღებული პეტრეპავლეს კათოლიკეთა ეკლესიიდან. 3. მოწმობა სამხედრო ბეგარის მოსახდელად გამოცხადების შესახებ.
237 3—2

დაიკარგა კახეთის რკინის გზის ქვეტონის მოწმობა ვახტანგ ჟორდანიას სახელზე, რომელიც გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს. 3—3 178

ქ. ტფილისის პირველი მომრიგებელ განყოფილების სასამართლოს ბოქაული ს. ა. კაგრამანოვი აცხადებს, რომ 1919 წ. თებერვლის 24, დილის 10 საათზე დანიშნულია საჯარო ვაჭრობა მაზადი კაფარ-ალი-კული-ოღლის ქონებაზე, რომელიც შეიცავს სახლის სხვა და სხვა ავეჯეულობას, შეფასებულს 430 მ. ვაჭრობა მოხდება ლარის შესახვევში, № 2. 1 უბ. 216 1—1

გორის სამაზრო კომისარიატი აცხადებს: ქ. ხაშურის მცხოვრებმა ვასილ იოსების ძე ჰკუასელიძემ განაცხადა, რომ მან დაჰკარგა პირადობის მოწმობა, მიღებული ხაშურის ქალაქის კომისარიატიდან 1918 წ. ოქტომბრის 19-ს, № 395. მოწმობა გაუქმებულად ითვლება, მპოვნელი კი ვალდებულია წარმოადგინოს ის კომისარიატში.
237 3—2

ერემია ნიკოლოზის ძე ტულუში აცხადებს, რომ აფთიაქის მოწაფის მოწმობა, რომელიც მიღებული ჰქონდა კავკასიის სამოსწავლო ოლქიდან 1914 წელს და დაკარგულია ყარსის აღების დროს, რადგან მაშინ ტულუში მსახურებდა ყარსის აფთიაქში და მოწმობა იყო ყარსის საექიმო საოლქო განყოფილებაში. 3—6 233

ექიმი ი. ქ. ზაქელია
შინაგანი ავადმყოფობა.

განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა, ფილტვებისა, სასუნთქისა, ფილტვების აპკისა გულისა და ჯირკვლებისა.

ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყველა [illegible] სისხლნაკლულობისა და მალარიის. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს 4[illegible]—6 საათამდე. [illegible] დიდის ქუჩა № 26. ტელეფ. 5—86 № 719.

რენტგენის და ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი წითელ ჯვრის რენტგენოლოგის და მიხეილის საავადმყოფოს

ექიმ
ა. ლევენშტეინისა

იღებს ავადმყოფებს 10½ 1 საათამდე და 4-იდან 7-მდე კვირა დღის გარდა. შინაგან და ქალთა ფილტვების სატკივრებისთვის. (სპეციალურად გულის, კუჭის და ქრონიკულ ავადმყოფებს ნერვიულ სისტემის და ქალურ სქესობრივ სფეროში.) რენტგენოგრაფია ჩაწერით. დაჭრილები რიგს გარეშე მიიღებიან. კრილოვის ქ. სახ. № 5 ბინა № 3. ტელეფონი 12—46 25—13 154

მიიღება ქაღალდები
ქართულ მანქანაზედ
გადასაბეჭდათ. ფომინის ქ. № 28, მე-4 უბანში. 8—1 № 240

მატარებლების მიმოსვლა 11 თებერვლიდან

მატარებლები ტფილისიდან ფოთში:

მ. № 1 სასწრაფო საღამ. 7 საათ. 30 წ.
ხაშურიდან —ღამის 10 ს. 52 წ.
შორაპნიდან—ღამის 1 ს. 34 წ.
სამტრედიიდან—ღამის 3 ს. 50 წ.
ფოთში — დილის 5 ს. 50 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 20 მან
№ 3 საფოსტო დილის 10 ს. 30 წ.
ხაშურიდან —დღის 3 ს. 08 წ.
შორაპნიდან საღამოს 6 საათ.
სამტრედიიდან—საღ. 8 საათ. 34 წ.
ფოთში — ღამის 10 ს 43 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 10 მ.

მ. № 9 **სამგზავრო ქუთაისამდე**
საღამოს — 10 ს. 30 წ.
ქუთაისში მივა დილის — 7 ს. 21 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მან.
№ 19 **სამგზავრო ბორჯომამდე** დღის 3 ს. 30 წ.
გორიდან საღამოს 6 საათ. 30 წ.
ბორჯომში მივა საღამოს 9 ს. 27 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.
მ. № 4 **ბაქოში** საფოსტო ღამის 11 ს. 10 წ.
მ. № 8 სამგზავრო განჯამდე დღის 3 ს. 35 წ.
მ. № 6 სასწრაფო ყოველ დღე საღამოს 9 საათზე ბაქომდე. პლაცკარტის ფასი ბაქომდე I კლ. 60 მ. II კ. 40 მ. III კ. 20 მ.

ყარსისკენ—ერევანში:

მ. № 4 საფოსტო დღის 1 ს. 40 წ.

ტფილისში მომავალი მატარებლები.

ფოთიდან ტფილისში.

მ. № 2 სასწრაფო დილის 9 ს. 41 წ.
ფოთიდან გამოვა საღამ. 11 საათ.
მ. № 4 საფოსტო საღამოს 8 საათზე. ფოთიდან გამოვა დილის 7 ს. 40 წ.
№ 12 **ქუთაისიდან** დილის 8 ს. 15 წ.
ქუთაისიდან გამოვა საღ. 10 ს. 33 წ.
№ 20 **ბორჯომიდან** დილის 7 ს. 20 წ.
ბორჯომიდან გამოვა ღამის 12 ს. 46 წ.

ბაქოდან

ც. № 3 საფოსტო დღის 4 ს. 30 წ.
მ. № 3 საფოსტო დღის 4 ს. 30 წ.
№ 5 სასწრაფო დილის 7 საათზე.
№ 7 სამგზავრო განჯიდან დილის 8 ს. 30 წ.
№ 5 პლაცკარტიანია; პლაცკარტის ფასი კლ.—60 მ., II კლ. 40 მ. III კ. 20 მ.

[illegible] ანიდან და ყარსიდან.

მ. № 3 საფოსტო დილის 11 ს. 30 წ.
ამათ გარდა კვირა უქმე დღეებში
ტფილისსა და მცხეთის შუა
იქნება შემდეგი მატარებლების მიმოსვლა.
მ. № 61 **ტფილისიდან** დილის 7 ს. 37 წ.
მ. № 63 — — დღის 3 ს.

მცხეთიდან მოდის

№ 62 დილის 11 ს. 10 წ.
№ 64 საღამოს 7 ს. 20 წ.

სენაკის საურთიერთო ნდობის საზოგადოების საბჭო

ამით აცხადებს, რომ კვირას 2 მარტს (ახალი სტილით) 1919 წ. დილის 10 საათზე დანიშნულია სენაკის საურთიერთო ნდობის საზოგადოების წევრთა

საერთო კრება

საზოგადოების ბინაში, განსახილველად შემდეგი საკითხებისა: 1. განხილვა და დამტკიცება წარსული 1918 წლის ანგარიშებისა. 2. განხილვა და დამტკიცება მიმდინარე 1919 წ. ხარჯთაღრიცხვისა. 3. არჩევნები: ერთის გამგეობის, ორი საბჭოს წევრთა და სარევიზიო კომისიისა. 4. მიმდინარე საკითხებისა.
275 1—1

საბჭო

ქართული კლუბი

კვირას, თებერვლის 23-ს
1919 წ.

ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“

სასარგებლოდ გაიმართება

დიდი სამხატვრო-სამ. სალიტერატურო საღამო

1. **სიტყვა**—„საქართველო სომხეთის ტრაგედია და ხელოვნება“, იოსებ იმედაშვილისა (ბრძოლის ველზე განცდილი შთაბეჭდილებანი); 2. **პოეზია**—გრიშაშვილი ი., ტაბიძე გალაქტიონ; 3. **მუსიკა**—ბახუტაშვილი—შულგინასი, კალანდაძე—აგასოვის, ივ. სარაჯიშვილის, ივ. ინაშვილის და ვ. ლორთქიფანიძის მონაწილეობით შესრულებენ ქართველ კომპოზიტორთა—არაყიშვილის, ბალანჩივაძის, გოგნიაშვილის, ჯაბადრის, ფოცხვერაშვილის და სხვ. ნაწარმოებთ. 4. **იუმორისტიკა**—ქართ. დრამ. მსახიობთა მონაწილეობით; 5. **ქართული ბალეტი**—ბალეტმეისტერ ალბერტისა და ელო ანდრონიკაშვილის მონაწილეობით; **საზანდარი**—სანდროს ლოტბარობით. ბუფეტი, პტიშვო და სხვ. დასაწყისი საღამოს 7 საათზე. გაგრძელდება ღამის 3 საათამდე. როიალთან ქ-ნი ნემეტის ასული. ბილეთები იყიდება ქართულ კლუბის კასაში. საღამოს დიასახლისი ე. ს. **ბენდუქიძისა.**